წადი მასთან და უთხარი: შენ არ ხარ ჯოჯოხეთის ბინადარი, არამედ სამოთხის ბინადარი ხარ

გადმოცემულია ანას იბნ მაალიქისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): ერთხელ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ვერ ნახა სააბით იბნ ყაისი და შეამჩნია მისი არყოფნა. ერთმა ადამიანმა თქვა: "ო, ალლაჰის შუამავალო, მე გავიგებ მის მდგომარეობას". ის წავიდა სააბითის მოსაძებნად და ნახა, რომ ის სახლში იჯდა თავჩაღუნული. ჰკითხა მას: "რ დაგემართა?" სააბითმა უპასუხა: "ცუდი რამ დამემართა. მე ხშირად ვამაღლებდი ჩემს ხმას შუამავალის ხმაზე და ამის გამო ჩემი ქმედებები ფუჭია და მე ჯოჯოხეთის მკვიდრი ვარ." ეს ადამიანი დაბრუნდა და მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აუწყა სააბითის სიტყვები. ეს პიროვნება ისევ დავრუნდა სააბითთან და უმახარობლა მოციქულისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სასიხარულო გზავნილი და უთხრა: «წადი მასთან და უთხარი: შენ არ ხარ ჯოჯოხეთის ბინადარი, არამედ სამოთხის ბინადარი ხარ».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ერთხელ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დაკარგულად მიიჩნია სააბით იბნ ყაისი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) და იკითხა მის შესახებ. ერთმა ადამიანმა თქვა: "მე გავარკვევ მის ამბავს და გავიგებ, რა არის მისი არყოფნის მიზეზი". ის წავიდა სააბითის მოსაძებნად და მის სახლში იპოვა, მოწყენილი და თავჩაღუნული. მან ჰკითხა: "რა გჭირს?", სააბითმა უთხრა, რომ ცუდ მდგომარეობაში იყო, რადგან მის ხმას შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ხმაზე ამაღლებდა ხოლმე. ღმერთმა კი ამ ქმედებაზე გააფრთხილა, რომ ასეთი ადამიანის საქმეები გაბათილდება და რომ ის ცეცხლის ბინადარი იქნებოდა! კაცმა დაბრუნდა მოციქულთან (ალლაჰის ლოცვა და მშვდობა მას) და აუწყა სააბითის მდგომარეობის შესახებ. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უბრძანა, რომ დაბრუნებულიყო სააბითთან და გაეხარებინა ის იმით, რომ იგი ჯოჯოხეთის ბინადარი არ არის, არამედ სამოთხის მკვიდრია. ეს იმიტომ, რომ მისი ხმა ბუნებრივად იყო მაღალი და ის იყო ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მქადაგებელი და ანსარების მქადაგებელი.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/65073